თავისუფალი გაზეთი „პოსტსკრიპტუმი“
P.S.
„ჩემო კალამო, ჩემო კარგო, რად გვინდა ტაში!“

ახალგაზრდული მოძრაობის წარმომადგენლებმა რთველში მიიღეს მონაწილეობა

იხილეთ მე-6 გვერდზე

№27 (715) 6 - 12 ოქტომბერი, 2014 გამოდის 1995 წლიდან ფასი: 70 თეთრი PSnews.ge

ეწვიეთ გაზეთ „P.S.“-ის განახლებულ საინფორმაციო ინტერნეტპორტალს www.psnews.ge-ს, ყოველდღიურად იკითხეთ ცხელ-ცხელი ამბები და იყავით ინფორმირებული!

წარსულის დაბრუნება

„P.S.ფოტო“ (ეკა შალამბერიძე) ©

„დევნილთა და განსახლების მინისტრი სოზარ სუბარი, ხონსა და ქუთაისის 15 კომპაქტურ ჩასახლებას ესტუმრა. გვაინტერესებს, რის მიხედვით შეარჩია ბატონმა სუბარმა ეს ჩასახლებები“

იხილეთ მე-5 გვერდზე

როგორ აფასებენ ქუთაისში „ქართული ოცნების“ ორწლიან მმართველობას?

2012 წლის საპარლამენტო არჩევნებიდან ორი წელი გავიდა. ხელისუფლების მშვიდობიანად გადაბარების დადებით და უარყოფით შედეგებს აქტიურად განიხილავენ. საზოგადოება ხელისუფლების მიერ გატარებულ რეფორმებს აფასებს, ხელისუფლებამ ორი წლის განმავლობაში გატარებული ცვლილებები თვალსაჩინოებისთვის ბროშურად გამოსცა.

გაზეთმა „P.S.“-მა ხელისუფლების ორწლიანი მუშაობა საზოგადოების სხვადასხვა სფეროს წარმომადგენლებს, პოზიციისა და ოპოზიციის წარმომადგენლებს, ასევე რიგით მოქალაქეებს შეაფასებინა. გამოკითხულთა უმეტესობა მიიჩნევს, რომ „ოცნებამ“ იმედები ვერ გაამართლა. სამართლიანობის აღდგენა, დასაქმება, საარსებო მინიმუმის გაზრდა — ეს ის დაპირებებია, რომელთა მოგვარებაც გამოკითხულთა განცხადებით, ხელისუფლებამ ვერ შეძლო.

ლალი დეისაძე, დიასახლისი: „პირველი დიდი იმედგაცრუება „ქართული ოცნებისგან“ მაშინ ვიგრძენი, როცა მილიონობით პრემიები ჩაიდეს ჯიბეში. ჩვენს ქვეყანაში, სადაც მოსახლეობის 80% თითქმის სიღარიბის ზღვარზეა, ასეთი საქციელი არაადამიანობაა და მეტი არაფერი. რას გააკეთებენ დარჩენილ ორ წელიწადში, გამოჩნდება, თუ რამე სიკეთე არ ქნეს, ქართველი ხალხი მაგათაც „ნაცების“ გზას გაუყენებს.“

გაგრძელება მე-2 გვედრზე

იხილეთ მე-2 გვერდზე

ქართულ-პოლონური მედიამეგობრობა

იხილეთ მე-3 გვერდზე

„ოცდამეერთე საუკუნეში სახლში ისე გვაწვიმს, როგორც გარეთ“

იხილეთ მე-5 გვერდზე

ქუთაისი ზამთრის სეზონისათვის ხარჯების გაზრდას გეგმავს

იხილეთ მე-2 გვერდზე

„5000-ლარიანი მინიგრანტების მიზნობრიობა აუცილებლად გაკონტროლდება, ანუ სახელმწიფოსგან მოცემული ფულით ვერც სამოგზაუროდ წახვალთ და ვერც მანქანას იყიდით...“

იხილეთ მე-3 გვერდზე

შვედეთში მარტოხელა დედებს ხელოვნურ განაყოფიერებას სახელმწიფო დაუფინანსებს

იხილეთ მე-7 გვერდზე

ქიმერიონი
qimerioni.ge
წიგნების მაღაზია
მისამართი: ქუთაისი, „პოპული“; ტელ.: 790 927 927.

წიგნები
შენ გელოდება!
ქუთაისი, საფაჩრო ცენტრი „პოპული“, წიგნების მაღაზია „ქიმერიონი“. ტელ.: (790) 927 927.

PSnews.ge
ISSN 1987-7056

სკანვორდი — გვ. 7 ჯროსვორდი — გვ. 7

ქუთაისი ზამთრის სეზონისათვის ხარჯების გაზრდას გეგმავს

ქუთაისის სკოლების უმეტესობას, ზამთარში გათბობასთან დაკავშირებით, პრობლემები ექნება, უკეთესი მდგომარეობაა სკოლამდელ დაწესებულებებში, სადაც პატარების გათბობას სრულად უზრუნველყოფენ, მუსიკალურ სასწავლებლებსა და სპორტულ სკოლებში კი პრობლემა ნაწილობრივ მოგვარებულია — ამის შესახებ ზამთრის სეზონისათვის მზადებასთან დაკავშირებულ შეხვედრაზე განაცხადეს, რომელსაც ქალაქის ვიცე-მერები და სამსახურების ხელმძღვანელები ესწრებოდნენ.

ქალაქის ვიცე-მერის ნოდარ მიქიაშვილის თქმით, დიდთოვლობის შემთხვევისათვის მობილიზებული იქნება საჭირო ტექნიკა: „უახლოეს 45 დღეში ქალაქი მიიღებს ახალ ტექნიკას — მათ შორის ერთ გრეიდერსა და ორ ახალ თოვლმწენდს. უკიდურესი საჭიროების შემთხვევაში კი, ქალაქი ორ გრეიდერს დაიქირავებს.“

ამ დროისათვის, ზამთართან დაკავშირებით, ბიუჯეტში სპეცტექნიკის მობილიზებისათვის 25 ათასი ლარია გათვალისწინებული, თუმცა ვიცე-მერის მიქიაშვილის მითითებით, საჭირო იქნება ამ თანხის გაზრდა.

საფინანსო სამსახურის უფროსის, ირაკლი ავალიანის განცხადებით, ამ საკითხის გამო, შესაძლოა, ბიუჯეტში ცვლილებები შევიდეს.

ეს იმაზე იქნება დამოკიდებული, თუ რა წინადადებას წარმოადგენენ სამსახურის ხელმძღვანელები, შესაძლოა, ზამთრისათვის დამატებითი ფინანსები სარეზერვო ფონდიდანაც გამოიძებნოს. ამისათვის კი ავალიანის განმარტებით, სარეზერვო ფონდი, რომელიც ახლა 300 ათას ლარს მოიცავს, შეიძლება, 60 ათასი ლარით გაიზარდოს.

ირინა მაკარიძე
psnews.ge

მთავარი რედაქტორი:
ნატო გუბელაძე

დიზაინი: ირმა ბახუტაშვილი

ოპერატორი და კორექტორი:
ლალი კუპრაშვილი

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. არ გამოხატავს არცერთი პოლიტიკური პარტიის ინტერესებს. ავტორთა მოსაზრება შეიძლება, არ ემთხვეოდეს რედაქციისას.

R — ნიშნით აღნიშნულია სტატია, რომელიც განთავსებულია სარეკლამო ფართზე

გამომცემელი — შპს „P.S.“ („პოსტსკრიპტუმი“).
ქუთაისის სასამართლოს რეგისტრაცია
№5/ბ-1401

გაზეთ „P.S.“-ის კლასიფიკაციის კოდი:
UDC (უაკ) 3+32] (479.22) (054)
პ - 658
P - 86

მისამართი: ქუთაისი. რუსთაველის გამზირი №37°. პრესის სახლი.

- (032) 2 422 470, (0 431) 24-45-46.
- psnews27@gmail.com
- www.psnews.ge

როგორ აფასებენ ქუთაისში „ქართული ოცნების“ ორწლიან მმართველობას?

პირველი გვერდიდან

მიშა ხვადაგიანი, პენსიონერი: „ხალხს იმედი ყველაზე მეტად, ივანიშვილის ხელისუფლებიდან წასვლის შემდეგ გაუცრუვდა, არავინ საუბრობს იმაზე, რომ ივანიშვილი წასვლას აანონსებდა და ხელისუფლებიდან ერთ წელიწადში წავიდოდა. მართალია, არ შეცვლილა მოქალაქეების მდგომარეობა, თუმცა, შეუძლებელია არ დაინახო ის ცვლილება, რაც ხელისუფლების ცვლილებას მოჰყვა, არაა მარტივი სასურველ ნიშნულამდე მისვლა, ამას დრო და ბევრი მუშაობა სჭირდება. იმედია, რომ მესამე წელი მართლაც კარგი წელი იქნება. რაც არ უნდა მოხდეს, არამგონია, ვინმეს „ნაციონალების“ მმართველობა ენატრებოდეს.“

დავით დვალი, ქუთაისის საკრებულოს თავმჯდომარე: „თუ შეკითხვას ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პრიზმიდან მივუდგებით, ჩვენ ხელისუფლებაში მოსვლა და საქმის კეთება ადგილობრივ დონეზე გაცილებით უფრო გვიან დავიწყეთ, ვინაიდან 2012 წლის 1-ლი ოქტომბრის შემდეგ, ქუთაისის დონეზე კიდევ ხანგრძლივად იყო სხვადასხვა პოლიტიკური ფსევდოგუნდების მხრიდან დესტაბილიზაციის მცდელობები, რაც შეეხება ქვეყნის მასშტაბით, ამ ორი წლის მანძილზე ბევრი სასიკეთო საქმე გახორციელდა, მათი ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს, თუმცა ჯანდაცვის და დაზღვევის კუთხით გახორციელებული, თამამად ვიტყვი, რევოლუციური გარღვევები, არანაკლებ გამბედავი და გლობალური გეგმები ნამდვილად იმსახურებს ცალკე აღნიშვნას. რაც შეეხება ხარვეზებს, მათი პოვნა, აღმოფხვრა და სრულყოფა სამარცხვინო პროცესი ნამდვილად არ არის და იგი მუდმივად უნდა გაგრძელდეს, თუმცა, ვისურვებდი მეტ ხარისხს, საქმის კეთების თაობაზე მოსახლეობის ინფორმირებულობის თვალსაზრისით, რათა მოსახლეობას აღმშენებლობის განცდის მუხტი ჰქონდეს, რაც მათი ჩართულობის მოწადინების მაღალ ხარისხს განაპირობებს. ამ კუთხით სრულყოფა აუცილებელია, ეს მნიშვნელოვანი კომპონენტია როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე საერთაშორისო ასპარეზზე. უახლოესი ორი წლის მანძილზე მაქსიმუმი უნდა გაკეთდეს იმისა, რაც ოთხი წლის მანძილზე უნდა მოსწრებულიყო, რათა პირნათელნი წარვსდგეთ ხალხის წინაშე იმ დემოკრატიულ „სამსჯავროზე“, რასაც არჩევნები ჰქვია.“

ნინო, პედაგოგი: „ორი წელი არაა მცირე დრო ძირეული და მნიშვნელოვანი ცვლილებების გასატარებლად. ორი წლის წინ, ხალხს სულ სხვა მოლოდინი ჰქონდა. მოლოდინი უკეთესი მომავლის, მოლოდინი დასაქმების და კეთილდღეობის. გვესმის, რომ ხელისუფლების ცვლილებას დრო სჭირდება. ვიცადეთ, ჩავატარებინეთ საპრეზიდენტო და ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები, მაგრამ რა შეიცვალა? მხოლოდ საკადრო ცვლილება ხელისუფლებაში და პოლიტიკური ანგარიშსწორება. ორი წელი გავიდა, ორიც მალე გავა და არამგონია, დარჩენილ ვადებში ხელისუფლებამ რაიმე სასარგებლო გააკეთოს, ამიტომ ვფიქრობ, მომავალ არჩევნებზე „ოცნება“ უმრავლესობით ვეღარ მოვა.“

გია გოქაძე, საკრებულოს ყოფილი „ნაციონალი“ დეპუტატი: „მშვიდობიანად ხელისუფლების გადაბარება, რაც ისტორიული მომენტია, არ იქნა გამოყენებული „ოცნების“ მიერ. პოლიტიკურმა შურისძიებამ ოპონენტებზე შეაჩერა პროცესების სწორად წარმართვა. „ოცნებამ“ ვერ გაიაზრა ან არ გაიაზრა ხელისუფლებაში ყოფნის პასუხისმგებლობა,

როდესაც პოლიტიკური შურისძიება ხდება პოლიტიკის მთავარი ქვაკუთხედი. იქ ყველა წარმატება, თუნდაც მიღწეული აზრს კარგავს. ეს დაპირისპირება გადადის ყველა მოქალაქეზე და გავლენას ახდენს ჩვენს ხვალინდელ დღეზე.

დაპირებები, რაც „ოცნებამ“ გასცა, იყო რეალობას მოკლებული და გათვლილი ხელისუფლების ხელში ჩაგდებაზე. იქ, სადაც პოლიტიკოსები ჩხუბობენ, ეკონომიკა და ვაჭრობა მკვდარია.“

გიორგი ჭიქაბერიძე, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია: „მე მაინც სასამართლოს კუთხით ვისაუბრებ. დღეს სასამართლო არის იმაზე უკეთესი, ვიდრე — აქამდე. სასჯელაღსრულების დაწესებულებებში სიტუაცია ადამიანის უფლებების დაცვის თვალსაზრისით არის უფრო გაუმჯობესებული, მაგრამ არ ხდება რიგი საქმეების ეფექტური გამოძიება, სადაც პოლიციელები სავარაუდო კანონდამრღვევებად გვევლინებიან.“

სამსონ გუგავა, საკრებულოს „ლეიბორისტი“ დეპუტატი: „დავიწყოთ იმით, რომ ეს დანაშაულებრივი გუნდი, რაც დღეს ხელისუფლებაშია, ქვეყანას მხოლოდ ბოლო ორი წლის განმავლობაში არ მართავს. ესაა შევარდნაძე-სააკაშვილ-ივანიშვილის 21-წლიანი მმართველობა. 1993 წლიდან მოყოლებული ამ ხალხმა ვერ შეძლო ქვეყნის განვითარებამდე მიყვანა. მოსახლეობის უმეტესობა სიღარიბის ზღვარს ქვემოთაა, პოსტსაბჭოთა სივრცეშიც კი ყველაზე დაბალ დონეზე ვართ. მოლოდინი, რაც მოსახლეობას ჰქონდა, ვერ გამართლდა. ვერ მოხდა სამართლიანობის აღდგენა, ვერ შეძლეს დასაქმება, საარსებო მინიმუმის და პენსიის გაზრდა. ვერ დალაგდა ურთიერთობა ჩრდილოელ მეზობელთან, რომელიც არის ყველაზე ახლო და ყველაზე დიდი ბაზარი ქართული პროდუქციისთვის, რუსულ ბაზარზე გასვლით ქართველი გლეხის მდგომარეობა შემსუბუქდებოდა. ყველაფერს ხელისუფლების მხრიდან პრემიების დარიგება დაემატა, რამაც მოსახლეობის უკმაყოფილება გამოიწვია.“

გოგი წულაია, პარტია „თავისუფალი საქართველოს“ იმერეთის ორგანიზაცია: „ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლის დღიდანვე ჩანდა, რომ ეს ხელისუფლება ვერც ერთ დაპირებას ვერ შეასრულებდა. ორწლიანი მმართველობა მხოლოდ უარყოფითად ფასდება, გაიკითხეთ საზოგადოებაში რა განწყობაა. ხელისუფლებამ არაერთი დანაშაული ჩაიდინა, მაგრამ ყველაზე დიდი ტრაგედია, რაც ხელისუფლებამ თავისი ხალხის მიმართ ჩაიდინა, იმედგაცრუებაა. მოსახლეობას ელემენტარული ცვლილებების და სიკეთის იმედი მოუკლა.“

ნესტან ჩაგელიშვილი

თვითმმართველობებში კონკურსის ჩატარების ვადებმა გადაიწია

„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოში მოქმედ კანონში ცვლილებები შედის, რამაც შესაძლოა, ადგილობრივ თვითმმართველობებში კონკურსების ჩატარების ვადებიც გადაწიოს.

საქართველოს იურისტთა ასოციაციის ქუთაისის ორგანიზაციის ხელმძღვანელის, გიორგი ჭიქაბერიძის განმარტებით: „საქართველოს პარლამენტში ინიცირებულია კანონპროექტი ზემოაღნიშნულ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე, რაც ითვალისწინებს კონკურსების ჩატარების ვალდებულების გადაწევას არაუგვიანეს 2014 წლის 31 დეკემბრისა.

მოქმედი კანონის თანახმად კი: ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელის იმ თანამდებობაზე, რომელიც კონკურსის წესით უნდა შეივსოს, კონკურსი ტარდება არაუგვიანეს 2014 წლის 31 ოქტომბრისა.

დღეის მდგომარეობით, ადგილობრივი თვითმმართველობები ვალდებული არიან, ვაკანტურ ადგილებზე კონკურსების ჩატარება და ვაკანტური ადგილების შევსება კონკურსის წესით მიმდინარე წლის ოქტომბრის ბოლომდე უზრუნველყონ. ცვლილებების მიღების შემთხვევაში კი, მათ ამისათვის დამატებით ორი თვე ეძლევათ.“

საქართველოს პარლამენტის მიერ ზემოაღნიშნული კანონპროექტის მიღების შემთხვევაში, შესაძლებელია, კონკურსის ჩატარების ვადებიც გადაიწიოს.

ირინა მაკარიძე
psnews.ge

„5000-ლარიანი მინიგრანტების მიზნობრიობა აუცილებლად გაკონტროლდება, ანუ სახელმწიფოსგან მოცემული ფულით ვერც სამოგზაუროდ წახვალთ და ვერც მანქანას იყიდით...“

საზოგადოებაში დიდი ინტერესი გამოიწვია პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის ინიციატივით, მთავრობის ინიცირებულმა პროექტმა „აწარმოე საქართველოში“, რომელიც ახლახანს კიდევ ახალი კომპონენტებით შეივსო და სახალხო პროექტის სახე მიიღო. კონკრეტულად რას ითვალისწინებს პროექტის თითოეული კომპონენტი, რა სიახლეებია დაგეგმილი მიკრობიზნესის სტიმულირებისათვის და ვის შეუძლია, მიიღოს 5000-ლარიანი მინიგრანტები, — ამ და სხვა საინტერესო საკითხებზე ინტერვიუ ვთხოვეთ საქართველოს ეკონომიკის სამინისტროს მეწარმეობის განვითარების სააგენტოს დირექტორს, ბატონ გიორგი ციკოლიას.

***

— ბატონო გიორგი, მიუხედავად იმისა, რომ ეკონომიკის სამინისტრო თავისი პროექტების პრეზენტაციებს ახდენს რეგიონებში, საზოგადოების დიდი ნაწილისთვის მაინც უცნობია ის დეტალური მოთხოვნები, რაც საჭიროა იმისათვის, რომ ჩაერთონ ისეთ პროექტებში, როგორიცაა „აწარმოე საქართველოში“ და ასევე, ახლახანს გამოცხადებულ სახალხო პროექტში, რომელიც მიკრობიზნესის სტიმულირებას ითვალისწინებს. გთხოვთ, უფრო დეტალურად გვესაუბროთ ამ პროექტებზე.

— კი, ბატონო, დავიწყებ თავიდან: 2014 წლის მაისში ჩამოყალიბდა მეწარმეობის განვითარების სააგენტო, ხოლო ივნისიდან პრემიერ-მინისტრის პირადი ინიციატივით ამოქმედდა მთავრობის ინიცირებული პროგრამა „აწარმოე საქართველოში“. ეს პროგრამა მოიცავს სამ ძირითად კომპონენტს:

• პირველი კომპონენტი — ფინანსურ რესურსებზე ხელმისაწვდომობის გამარტივება

როგორც ვიცით, ბანკში კრედიტის აღების დროს წინასწარ განსაზღვრულია კრედიტის საპროცენტო განაკვეთი და ამ შემთხვევაშიც, სესხის მოცულობიდან გამომდინარე, დადგენილია საპროცენტო განაკვეთის მაქსიმალური ზღვარი 11-13%-მდე. ჩვენ მზად ვართ, რომ ამ განაკვეთიდან 10 პროცენტი დავაფინანსოთ პირველი ორი წლის განმავლობაში.

ანუ ეს იმას ნიშნავს, რომ პირველი ორი წლის განმავლობაში საპროცენტო განაკვეთი, პროგრამაში ჩართული პირისათვის მერყეობს 1-დან 3 პროცენტამდე.

გარდა ამისა, ბანკის მიერ მოთხოვნილი უზრუნველყოფის 30% არის გარანტირებული ჩვენის მხრიდან, რაც თავისთავად მეწარმეს უმცირებს პროექტის წამოწყების ხარჯებს.

აქვე მინდა ავღნიშნო, რომ არსებული პროგრამა განკუთვნილი იყო მხოლოდ ახალი საწარმოს შექმნისთვის, თუმცა მოთხონის შესაბამისად, პროგრამის დებულებაში შევიდა ცვლილება და ამ კომპონენტით სარგებლობა უკვე არსებული ბიზნესის, ანუ საწარმოს გადაიარაღების და გაფართოების მიზნითაც არის შესაძლებელი.

— ანუ პირველი ორი წელი მეწარმე პროცენტს არ იხდის?

— პირველი 2 წლის განმავლობაში ბანკი უწესებს მეწარმეს საშეღავათო პერიოდს და მას არ უწევს ძირი თანხის დაფარვა, ამასთანავე პრაქტიკაში არსებობს კარგი შემთხვევები, როდესაც ბანკმა პირდაპირ 10%-ში დაამტკიცა სესხი, რაც იმას ნიშნავს, რომ პირველი 2 წლის განმავლობაში მეწარმეს არ უწევს არც პროცენტის და არც ძირი თანხის დაფარვა.

• მეორე კომპონენტი — ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

მათთვის, ვისაც გააჩნიათ კაპიტალი და სურთ საწარმოს გაკეთება, ჩვენ ვთავაზობთ სახელმწიფო ქონებას, რომლებიც გვინდა, რომ საწარმოდ ვაქციოთ. მობრძანდით, აირჩიეთ შესაბამისი ნუსხიდან ის ადგილი, რომელიც თქვენთვის მისაღებია და გვითხარით, რისი გაკეთება გსურთ.

დაგვიდეთ ბიზნეს-გეგმა, მოიტანეთ საინვესტიციო ღირებულების 10 პროცენტიანი საბანკო გარანტია, რომლითაც დავრწმუნდებით, რომ გაგაჩნიათ რესურსი, რომ ეს პროექტი განახორციელოთ.

შედეგად, თუ ქონება თბილისში იქნება არჩეული, ამ ქონების ღირებულების ექვსმაგი ინვესტიციის განხორციელების ვალდებულებას აიღებს ბიზნესმენი, ამ ქონებას ჩვენ სიმბოლურ ფასად, 1 ლარად, გადავცემთ. რეგიონის შემთხვევაში — ოთხმაგი ინვესტიციის ოდენობაა საჭირო.

ქონების ღირებულება 30 000 ლარიდან იწყება და, დაახლოებით, მილიონნახევრამდე აღის.

ქონების ჩამონათვალი ჩვენს ვებ-გვერდზეა განთავსებული, რომელიც ამ პროგრამისთვის შეიქმნა – www.qartuli.ge

• მესამე კომპონენტი — საკონსულტაციო მომსახურება

პროგრამის მესამე კომპონენტი გულსხმობს საკონსულტაციო მომსახურებას. თუმცა, მესამე კომპონენტი მიბმულია პირველ ორ კომპონენტზე. ანუ ბენეფიციარმა ან პირველი ან მეორე კომპონენტის ფარგლებში უნდა მიიღოს მონაწილეობა.

ამ შემთხვევაში, საკონსულტაციო მომსახურებისთვის ერთ ბენეფიციარზე განსაზღვრული თანხა შეადგენს 10 000-20 000 ლარს. ამისთვის ჩვენ გამოვიყენებთ საკონსულტაციო კომპანიებს, პროფესიონალ კადრებს და ასე შემდეგ.

— ბატონო გიორგი, ახლა ვისაუბროთ ახალ სახალხო პროექტზე, რომელიც 5000 ლარის გაცემას ითვალისწინებს მიკრობიზნესის წასახალისებლად. როგორ მოხდება ამ პროექტის განხორციელება, რა პრინციპით შეირჩევიან დასაფინანსებელი ადამიანები და რა ვალდებულებები უნდა იკისრონ მათ?

— მიკრო ბიზნესის პროგრამის ფარგლებში, რომელიც ასევე თანამონაწილეობრივია, თითოეულ მეწარმეზე გამოყოფილი იქნება 5000 ლარის ოდენობის ფინანსური მხარდაჭერა. აქ თანამონაწილეობა დაინტერესებული პირის მხრიდან თანხის 20 პროცენტი იქნება.

პროგრამის განსახორციელებლად ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ს.ს.ი.პ. მეწარმეობის განვითარების სააგენტო მოიწვევს კვალიფიციურ არაკომერციულ იურიდიულ პირებს, რომლებიც მოგებაზე არ არიან ორიენტირებულნი და ტენდერის მეშვეობით შეარჩევს შემსრულებელ ორგანიზაციას.

პოტენციური ბენეფიციარი ვალდებული იქნება, გაიაროს სპეციალური ტრეინინგი. დაფინანსების შემთხვევაში, თანხის მიზნობრივ ხარჯვას მონიტორინგს გაუწევს შემსრულებელი ორგანიზაცია, ხოლო საბოლოო შედეგებს მონიტორინგს გაუწევს მეწარმეობის განვითარების სააგენტო.

5000-ლარიანი მინიგრანტების მიზნობრიობა აუცილებლად გაკონტროლდება, ანუ სახელმწიფოსგან მოცემული ფულით ვერც სამოგზაუროდ წახვალთ და ვერც მანქანას იყიდით...

— პროექტი ოქტომბრიდან იწყება, თუმცა რა ვადებში განხორციელდება?

— მიკრობიზნესის მხარდაჭერის პროგრამის ბიუჯეტი შეადგენს 20 მილიონ ლარს, განხორციელდება 26 თვის განმავლობაში და დაფინანსდება ნებისმიერი სახის ბიზნესი მთელი საქართველოს მასშტაბით, გარდა თბილისისა.

ნატო გუგელაძე

ქართულ-პოლონური მედიამეგობრობა

ქართული რეგიონული გაზეთებისა და პოლონელი მედიაექსპერტების მეგობრობა 2007 წლიდან დაიწყო და დღემდე გრძელდება. პოლონურმა ორგანიზაციამ „დემოკრატიული აღმოსავლეთი“ „ჟურნალისტთა კავკასიის საერთაშორისო ცენტრის“ თბილისის ოფისთან პარტნიორობით უკვე რამდენიმე პროექტი განახორციელა ადგილობრივი ქართული გაზეთებისთვის.

ჩვენი გაზეთი „პოსტსკრიპტუმი“ ამ პროექტს გასული წლიდან შეუერთდა და ძალიან საინტერესო გამოცდილებაც მიიღო პოლონელი კოლეგებისაგან.

პროექტების თემატიკა ყოველწლიურად სხვადასხვა იყო. დაწყებული იქიდან, თუ როგორ უნდა გაშუქდეს ადგილობრივი არჩევნები, როგორ უნდა ვიზრუნოთ გაზეთის დისტრიბუციის გაუმჯობესებაზე, როგორ მოვიზიდოთ გაზეთში მცირე განცხადებები, რათა შემოსავლები გავზარდოთ და დამთავრებული ინტერნეტგანვითარებაში ხელშეწყობით.

სწორედ წელს, ივლის-აგვისტოში პოლონელი კოლეგების მიერ კიდევ ერთხელ განხორციელდა საქართველოს ადგილობრივი გაზეთების მხარდაჭერის პროექტი, **„საინფორმაციო მედიიდან ინტერაქტიულ მედიამდე — საქართველოს ადგილობრივი გაზეთები ინტერნეტში“**, რომელიც დაფინანსებულია შემდეგი პროგრამების ფარგლებში: პოლონეთის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს 2014 წლის თანამშრომლობის განვითარების პროგრამა „დემოკრატიის მხარდაჭერა“ და თავისუფლების ფონდის პოლონურ-ამერიკული პროგრამა „ცვლილებები რეგიონში“ — RITA, რომელსაც ახორციელებს ფონდი განათლება დემოკრატიისთვის.

ტრენინგები წარმართეს პოლონელმა ტრენერებმა **აგნეშკა ნოვინსკამ და მარჩინ ბანკმა.** მათ ქართული რეგიონული გაზეთების რედაქტორებს და ჟურნალისტებს აუხსნეს და პრაქტიკულად ასწავლეს, თუ როგორ იწერება მასალა ინტერნეტისათვის.

ტრენინგზე საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან შეკრებილმა ადგილობრივი მედიასაშუალებების წარმომადგენლებმა ინტეგრირებული მედიის საქმიანობის პრინციპები და მკითხველისთვის ინფორმაციის ეფექტურად მიწოდების სხვადასხვა ხერხები განიხილეს. შეჯამდა პოლონური პროექტის რამდენიმეწლიანი საქმიანობაც.

ტრენინგების დასრულების შემდეგ პროექტის ფარგლებში გამოცხადდა კონკურსი ოთხ ნომინაციაში: ვებ-გვერდი; ვიდეომასალა ვებ-გვერდზე; ფოტომასალა ვებ-გვერდზე; ტექსტური მასალა ვებ-გვერდზე.

საკონკურსო კომისიის წევრები არიან:

აგნიეშკა ნოვინსკა — პროექტის მთავარი ტრენერი;

პიოტრ კრიშიაკი — პოლონური ადგილობრივი გაზეთების გამომცემელი;

იაროსლავ ბაბიცკი — პოლონური ადგილობრივი გაზეთების გამომცემელი, ქართული ადგილობრივი გაზეთებისთვის განხორციელებული პროექტების ექსპერტი;

პშემისლავ კუცა — პროგრამისტი და დიზაინერი, ქართული ადგილობრივი გაზეთებისთვის განხორციელებული პროექტების ექსპერტი;

პაველ კოზერა — პოლონური ადგილობრივი გაზეთების და პორტალის toiowo.info გამომცემელი, ქართული ადგილობრივი გაზეთებისთვის განხორციელებული პროექტების ექსპერტი;

გამარჯვებულთათვის გათვალისწინებულია ძალიან საინტერესო პრიზები, მათ შორის – კომპიუტერული ტექნიკა, ერთწლიანი ინტერნეტდაფინანსება და ტრენინგები პოლონეთში.

როგორც ჩვენთვის ცნობილია, პოლონელი მედიაექსპერტები 7 ოქტომბრისთვის კვლავ ეწვევიან საქართველოს და რეგიონული მედიაორგანიზაციების საზეიმო დაჯილდოვებას გამართავენ.

იმედი გვაქვს, რომ ჯილდოს გარეშე არც „პოსტსკრიპტუმი“ დარჩება!

მიუხედავად ყველაფრისა, მადლიერების გარეშე შეუძლებელია, ისაუბრო იმ მხარდაჭერასა და დახმარებაზე, რაც ჩვენმა პოლონელმა მეგობრებმა „დემოკრატიული აღმოსავლეთიდან“ საქართველოს ადგილობრივი გაზეთებისთვის ამ 8 წლის მანძილზე გააკეთეს და რაც სამომავლოდ კვლავ დაგეგმილი აქვთ.

ჩვენ ერთად ყველა პრობლემას დავძლევთ!

ნატო გუგელაძე

ПРОЕКТШИ მონაწილე მედიის წარმომადგენლები პოლონელ ტრენერებთან ერთად

„საინფორმაციო მედიებისგან ინტერაქტიულ მედიებამდე — ქართული ადგილობრივი გაზეთები ინტერნეტში“
პროექტს ახორციელებს **ასოციაცია დემოკრატიული აღმოსავლეთი** საქართველოს პარტნიორულ ორგანიზაციასთან — **ჟურნალისტთა კავკასიის ცენტრთან** თანამშრომლობით

TOWARZYSTWO DEMOKRATYCZNE WSCHÓD
ICFJ Caucasus

ასევე პოლონურ-ამერიკული ფონდის „თავისუფლების“ პროგრამა RITA-ს ფარგლებში, რომელსაც ახორციელებს ფონდი განათლება დემოკრატიისათვის

RITA - REGION IN TRANSITION - PRZEMIANY W REGIONIE

დაფინანსებულია:
პოლონეთის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს
განვითარების თანამშრომლობის **2014 წლის** პროგრამის ფარგლებში

Polish aid
Solidarity Fund PL

Projekt został sfinansowany w ramach Programu Polsko-Amerykańskiej Fundacji Wolności „Przemiany w Regionie” – RITA, realizowanego przez Fundację Edukacja dla Demokracji

Fundacja Edukacja dla Demokracji
Polsko-Amerykańska Fundacja Wolności
Polish-American Freedom Foundation

„რთველი — 2014" შეფერხებების გარეშე მიმდინარეობს

კახეთის რეგიონში რთველი აქტიურ ფაზაშია. საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრმა ოთარ დანელიამ რთველის საკოორდინაციო შტაბი ქალაქ გურჯაანში 20 აგვისტოს გახსნა, რომელიც 24-საათიან რეჟიმში მუშაობს და შარშანდელის მსგავსად, ჩაბარებული ყურძენი სპეციალური კომპიუტერული პროგრამის მეშვეობით, ერთიან ელექტრონულ ბაზაში აღირიცხება.

სახელმწიფო სუბსიდირებას კვლავ აგრძელებს როგორც თეთრ, ასევე წითელ ყურძენზე. წელს სუბსიდია 1 კილოგრამ რქაწითელსა და კახურ მწვანეზე 35 თეთრს, საფერავზე კი 15 თეთრს შეადგენს.

„წლევანდელი წელი ცოტა უცნაურია — წითელი და თეთრი ყურძენი ერთდროულად იკრიფება. თითქმის ყველა რაიონი ერთდროულად ჩაერთო რთველში. დედოფლისწყაროსთან ერთად, რთველი დაიწყო გურჯაანში, ყვარელში. ბოლო რაიონებია ახმეტა და ბოლოს საგარეჯო. ამ ეტაპზე ისე მიდის რთველის პროცესი, ფაქტობრივად, შეფერხება არ გვქონია," — ასე აფასებს კახეთში რთველს **ღვინის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარე ლევან დავითაშვილი.**

რთველთან დაკავშირებით მოქმედებს „ცხელი ხაზი" — 2470101, რომელიც დაინტერესებულ პირებს 24 საათის განმავლობაში ემსახურება. დამატებითი ინფორმაციის, კითხვებისა და კომენტარებისათვის მოსახლეობას შეუძლია, ღვინის ეროვნულ სააგენტოს სპეციალურ ელექტრონულ მისამართზე მიმართოს: rtveli2014@georgianwine.gov.ge. სააგენტოს განახლებულ ვებ-გვერდზე http: //georgianwine.gov.ge/statistic/ ასევე შესაძლებელია ონლაინ-რეჟიმში რთველის სტატისტიკის გაცნობა გეოგრაფიისა და ყურძნის ჯიშების მიხედვით.

მევენახეები ყურძენს ყოველგვარი დაბრკოლების გარეშე აბარებენ. ფასის კლებასთან დაკავშირებულ გავრცელებულ ხმას ღვინის ეროვნულმა სააგენტომ ხელოვნურად მართული უწოდა:

„გავრცელდა ინფორმაცია ყურძნის ფასის კლებასთან დაკავშირებით, რასაც მევენახეების მხრიდან უკმაყოფილება და აქციების გამართვა მოჰყვა. იმ დროს, როდესაც ბუნებრივმა კლიმატურმა პირობებმა ისედაც შეამცირა მოსავალი და მისი ხარისხი, რთველის პროცესის შეფერხება და ჩაშლის მცდელობა საბოტაჟის სახეს იღებს. ეს კი ყველაზე მეტად აზარალებს კახელ მევენახეებს. ჩნდება ეჭვი, რომ ხომ არაა ეს პროცესი ხელოვნურად მართული. წლევანდელი რთველის პერიოდში, ყურძნის ფასი უპრეცედენტოდ მაღალია და ისტორიულ მაქსიმუმს შეადგენს. შარშანდელთან შედარებით, საფერავის ფასი 100%-ით მეტია. ამასთან, სახელმწიფოს ხელშეწყობით, მოსახლეობას დაზიანებული ყურძნის ჩაბარების პრობლემაც არ ექმნება. ღვინის მწარმოებლები თვითონ იღებენ გადაწყვეტილებას რა ფასად და რა რაოდენობის ყურძენი შეისყიდონ," — აღნიშნულია განცხადებაში, რომელიც **ღვინის ეროვნულმა სააგენტომ** გაავრცელა.

მთავრობის განკარგულებით, ერთ კილოგრამ ყურძენში 1 ლარზე ნაკლებს თუ გადაიხდის ქარხანა, მასზე სუბსიდირების პროგრამა არ გავრცელდება:

„სუბსიდიის მიღების უფლება აქვთ მხოლოდ იმ ღვინის კომპანიებს, რომლებიც: ყურძნის ჩამბარებელი ფიზიკური პირებისაგან ერთი კილოგრამი ყურძნის შესყიდვას განახორციელებენ არანაკლებ ერთ ლარად; წარადგენენ მუნიციპალიტეტის მიერ გაცემულ ყურძნის წარმოშობის შესახებ ცნობას; ამ განკარგულებაში აღნიშნული ყურძნის (ჯიშის) მიღებას განახორციელებენ სსიპ „საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტოს" მიერ დამოწმებული საავტომობილო სასწორებით აღჭურვილ საწარმოში," — აღნიშნულია მთავრობის 2014 წლის 7 აგვისტოს განკარგულებაში, რომელსაც ხელს პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი** აწერს.

„როცა საბაზრო ეკონომიკის პირობებში ვცხოვრობთ, მთავრობა ვერც მინიმალურ და ვერც მაქსიმალურ ფასს ვერავის დაუწესებს. ამიტომ, ჩვენ არ ვერევით ფასის დარეგულირებაში, არ ვახდენთ ზეწოლას. ჩვენ სუბსიდირების პროგრამით მეღვინეების სტიმულირება გვინდა, მეტი ფასი რომ გადაიხადონ ყურძენში," — აცხადებს **ლევან დავითაშვილი.**

ყურძნის ფასით კმაყოფილია მოსახლეობა. **გურჯაანის რაიონის სოფელ ჩუმლაყის მცხოვრები მანანა** რთველის ორგანიზებულობაზე ამახვილებს ყურადღებას:

„ყურძნის კრეფა ჩვენთან ახლაც მიმდინარეობს. სიტუაცია ნორმალურია. ფასები, შესაბამისად —კარგი. პრობლემა არ არის ყურძნის ჩაბარება. ნუ, ახლა პატარა რიგები არის ქარხნებთან, მაგრამ მოთმენაა საჭირო. რთველი აბსოლუტურად ყველაფრით ორგანიზებულია. ყურძენი ჩავაბარე, ფული ჯერ არ ამიღია — 10 სამუშაო დღეში იქნება. ყურძნის კრეფაზე ცოტა შეფერხება იყო ამინდის გამო. გამოიდარა და რთველი ისევ განახლდა. ისე, უცებ რომ კრეფს ყველა, იმიტომ არის ცოტა შეფერხება, თორემ ჩაბარებასთან დაკავშირებით პრობლემა არაა," — ამბობს ის.

კახეთში ამჟამად სხვადასხვა ჯიშის ყურძენს 40 ღვინის ქარხანა იბარებს. რთველის დაწყებიდან დღემდე, ყურძნის მიღება-გადამუშავებაში 65-მა ღვინის მწარმოებელმა კომპანიამ მიიღო მონაწილეობა, სულ რეგისტრირებულია 87 კომპანია.

ღვინის მწარმოებლების საქმიანობის სტიმულირებას ქართული ღვინის ექსპორტის ზრდის ტენდენცია განაპირობებს. ღვინის ეროვნული სააგენტოს მონაცემებით, 2014 წლის 8 თვეში (იანვარ-აგვისტო) მსოფლიოს 38 ქვეყანაში ღვინის ექსპორტმა 36 585 769 (0,75 ლ) ბოთლი შეადგინა, რაც 69%-ით მეტია წინა წლის შესაბამისი პერიოდის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით. ქართული ღვინის საექსპორტო ბაზრების პირველი ხუთეული შემდეგნაირად გამოიყურება: რუსეთი, უკრაინა, ყაზახეთი, პოლონეთი და ბელარუსი, სადაც რუსეთი ლიდერობს 65%-ით ექსპორტის მთლიან მოცულობაში. ღვინის ექსპორტმა რუსეთში 2014 წლის პირველი 8 თვის მონაცემებით 24 049 677 ბოთლი შეადგინა. საექსპორტო ქვეყნების ათეულშია ჩინეთი, ლატვია, ლიტვა, ესტონეთი და აზერბაიჯანი. საანგარიშო პერიოდში, ექსპორტირებულია 118 493 071 აშშ დოლარის ($) პროდუქცია, რაც 83%-ით აღემატება 2013 წლის შესაბამისი პერიოდის ანალოგიურ მაჩვენებელს. ამასთან, აგვისტოს მდგომარეობით, 13 ქვეყანაში ექსპორტირებულია 7 275 351 (0,5ლ) ბოთლი ბრენდი. წლის განვლილ 8 თვეში, ბრენდის ექსპორტმა თანხაში 25 354 169 აშშ დოლარი შეადგინა, რაც 83%-ით აღემატება გასული წლის შესაბამისი პერიოდის ანალოგიურ მაჩვენებელს. ბრენდის ექსპორტიორ ქვეყნებში კვლავ ლიდერობს უკრაინა, სადაც იანვარ-აგვისტოს მდგომარეობით ექსპორტმა — 3 556 584 ბოთლი შეადგინა, მეორე ადგილს 3 235 656 ბოთლით რუსეთი იკავებს.

ექსპორტის გაზრდილ რაოდენობაზე და სახელმწიფოს მიერ სუბსიდირების პროგრამის სიკეთეებზე ამახვილებს ყურადღებას **„კახური ტრადიციული მეღვინეობის" გენერალური დირექტორი ზურაბ ჩხაიძე:**

„სუბსიდირება არის ძალიან სწორი და დროული გადაწყვეტილება. შარშანდელმა ასეთმა მხარდაჭერამ ძალიან კარგი შედეგი გამოიღო. ასეთი დახმარებით შეიქმნა ძალიან დიდი პროდუქცია, რომელიც უკვე გადაიტვირთა. ჩვენ ვაანონსებდით, რომ ქვეყნისთვის წარმატებულ ნაბიჯებს მოიტანდა და დღეს როგორც ვიცი, დაახლოებით, 120 მილიონი ლარის პროდუქციაა ექსპორტირებული და ეს ქართულ ეკონომიკაზეც აისახება. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ ბანკთან ურთიერთობა ძალიან გაგვიმარტივდა. წვდომა გვაქვს იაფიან სესხზე, რაც მეღვინეობას ძალიან წაადგა." მიმდინარე წლის რთველის სეზონზე ყურძნის ხარისხის კონტროლთან ერთად, მკაცრი კონტროლი ქარხნებიდან ჭაჭის უტილიზაციაზეც გახორციელდება.

საქართველოს პრემიერ-მინისტრის გადაწყვეტილებით, 2014 წლის რთველის ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში, მოქმედ ღვინის კომპანიებს დაევალათ, განახორციელონ მიღებული ჭაჭის გადამუშავება ან/და უტილიზაცია.

„მკაცრი კონტროლი გვაქვს დაწესებული თეთრი ყურძნისგან გამოწნეხილი მასის გამოყენებაზე. ჭაჭის გაცემა მესამე პირებზე აკრძალულია. ჭაჭის კონტროლი იმიტომ ხორციელდება, რომ ფალსიფიცირებული ღვინო აიკრძალოს, შემცირდეს მისი რაოდენობა ბაზარზე. ეს ერთ-ერთი ძირითადი ნოვაციაა, რომელიც ამ რთველის დროს არის გამოყენებული," —აცხადებს **ღვინის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარე ლევან დავითაშვილი**.

ჭაჭის უტილიზაციასთან დაკავშირებით მიღებულ მთავრობის ამ გადაწყვეტილებას რევოლუციურ გარღვევად აფასებს **„კახური ტრადიციული მეღვინეობის" დამფუძნებელი ზურაბ ჩხაიძე:**

„ამას ძალიან დიდი შედეგი ექნება. იმდენად დიდი, რომ ჯერ საზოგადოებას ვერც წარმოუდგენია. ეს არის რევოლუციური გარღვევა. ჭაჭა ქარხნებიდან გადიოდა და ფალსიფიკატორების ხელში ხვდებოდა. 100 ათას კილოგრამ ყურძენზე, დაახლოებით, 13-14 ათასი ტონა ჭაჭა რჩება, საიდანაც 40-50 მილიონ ლიტრ ფალსიფიცირებულ ღვინოს აკეთებდნენ. ეს ის ღვინოებია, რომლებსაც ღვინის ჩამოსასხმელ ბუტიკებში, რესტორნებში მოიხმარენ და რომელიც კახეთიდან დასავლეთში ხვდებოდა. ამიტომ იყო ასეთი დაბალი ხარისხის ღვინო რესტორნებში. წელს ეს აიკრძალა, რაც საკმაოდ დროული და პრაგმატული ნაბიჯია. აღნიშნული გადაწყვეტილება ბაზარზე აისახება და იანვრიდან ყველა რესტორანს ექნება წვდომა ხარისხიან ღვინოზე. მომავალ წლებში შეიძლება, სუბსიდირებიდანაც გამოვიდეს სახელმწიფო. ამის თქმა ჯერ არ შეგვიძლია, მაგრამ ამისკენ მიდის ტენდენცია. კარგია, რომ ასეთი ნაბიჯი გადაიდგა. აქამდეც უნდა მომხდარიყო, მაგრამ სჯობს გვიან, ვიდრე არასდროს."

ლევან დავითაშვილის თქმით, კახეთში ყურძნის ჩაბარების შედეგად, მოსახლეობაში მიღებულმა შემოსავალმა უკვე 100 მილიონ ლარს გადააჭარბა, რაც შარშანდელ მონაცემებს თითქმის გაუტოლდა, თუმცა რთველი ჯერ არ დასრულებულა. რაც დავითაშვილის თქმით, იმას ნიშნავს, რომ შემოსავლების ზრდის ტენდენცია კახეთში გაგრძელდება. როგორც ღვინის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარე ამბობს, რთველისთვის 18 მილიონია გათვალისწინებული, თუმცა ეს რიცხვი პირობითია და მოსავლის მიხედვით დაკორექტირდება. რთველის დასრულებისას გამოიკვეთება რამდენი ლარია საჭირო ამ პროგრამის განახორციელებისთვის.

დღეისათვის რთველის საკოორდინაციო ერთი შტაბია კახეთის რეგიონის ქალაქ გურჯაანში. ოქტომბრის პირველ რიცხვებში რაჭაში ხვანჭკარას სეზონზე მეორე შტაბის გახსნა იგეგმება. თუმცა, იქ სუბსიდირების პროგრამა არ განხორციელდება. ღვინის ეროვნული სააგენტო რაჭაში ყურძნის ხარისხის და აღრიცხვიანობის მიზნით ატარებს მონიტორინგს.

წარსულის დაბრუნება

ადამიანურ ყოფიერებასთან შეუსაბამო საცხოვრებელი პირობები, გუმათის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა ყოფილი პანსიონატის შენობაში შესახლებული დევნილებისთვის, უკვე 2 წელია, ყოველდღიურობაა. შენობაში შესვლისთანავე ავტომატურად ჩნდება განცდა — აქ დრო გაჩერდა.

„P.S. ფოტო“ (ეკა შალამბერიძე) ©

„P.S. ფოტო“ (ეკა შალამბერიძე) ©

21-უ საუკუნის ადამიანებს აქ კვლავ მე-20 საუკუნე აქვთ. 90-იანი წლებისთვის დამახასიათებელი რიგები, ოღონდ, ამჯერად ყოველდღიურად რიგში დგომა არა სურსათის, არამედ ონკანის და ერთადერთი საპირფარეშოთი სარგებლობისთვის უწევთ.

90-იანი წლების მსგავსად, რიგი იმდენად გრძელი და შემაწუხებელია რომ საპირფარეშოს კარზე შინაგანაწესიც გააკრეს: „აქ დგომა აკრძალულია!“

ყოფილ პანსიონატში ამჟამად 32 დევნილი ოჯახი ცხოვრობს. შენობა ორსართულიანია: ერთი საპირფარეშოთი და 3 პირობითად სველი წერტილით.

ფანჯრების უმრავლესობაზე მინის ფუნქციას ცელოფნები ასრულებს, შესაბამისად, წვიმის დროს ოჯახებში წყალი როგორც ჭერიდან, ასევე ფანჯრებიდანაც შედის.

თუმცა, როგორც ადგილობრივები ამბობენ, პრობლემას წვიმაც და მზეც ერთნაირად ქმნის, რადგანაც მაღალი ტემპერატურა აქ მღრღნელების და მწერების კერებს აჩენს, დეზინფექცია კი ბინებს 22 წლის განმავლობაში არასდროს ჩატარებია.

მანანა კილასონია: „ამას პრობლემებიც აღარ ჰქვია, რა პირობებშიც ჩვენ ვცხოვრობთ, ადამიანი ძაღლია და ყველაფერს ეგუება, თორემ, წარმოუდგენელიც კია ამ პირობებში როგორ შეიძლება არსებობა, არის ოჯახები და დასახლებები, სადაც რაღაც აქვთ და რაღაც არა, აი, ჩვენ არაფერი გვაქვს, აქ ყველაფერი მწყობრიდან გამოსულია, სასმელ წყალს ისეთ ანტისანიტარულ პირობებში ვიღებთ, რომ სასმელად კი არა, წესით, სარეცხადაც უვარგისია.“

ადამიანურ ყოფიერებასთან შეუსაბამო პირობების ერთ-ერთი მთავარი მიზეზი შენობის სარდაფია, რომელიც 22 წელია ჩამდინარე ფეკალური მასებით ივსება.

„აქ სისუფთავეს, ძალიანაც რომ მოინდომო, ვერ დაიცავ, არ არსებობს კანალიზაციის სისტემა და წლებია, ფეკალური მასები პირდაპირ სარდაფში ჩადის, განსაკუთრებით ზაფხულში ისეთი აუტანელი სუნია, მწერების და მღრღნელების შემოტევას ვეღარ ვუძლებთ და მთელი ზაფხული იმის შიშით, რომ ქვეწარმავლებმა არ დაგვკბინონ, ფანჯრებს ვერ ვაღებთ. ბავშვები ყოველ კვირას იწამლებიან.“

დევნილების გულისწყრომის მიზეზი, როგორც ამბობენ, მთავრობის მხრიდან უყურადღებობაა.

„ტელევიზიით ვნახეთ, რომ დევნილთა და განსახლების მინისტრი სოზარ სუბარი, ხონსა და ქუთაისის 15 კომპაქტურ ჩასახლებას ესტუმრა. გვაინტერესებს, რის მიხედვით შეარჩია ბატონმა სუბარმა ეს ჩასახლებები, ჩვენთან გამორჩეულად მძიმე სოციალური პირობებია და ჩვენი ბედით რატომ არ უნდა დაინტერესებულიყო? საარჩევნოდ დაგვპირდნენ, რომ გაგვასახლებდნენ და ახლა შესაბამისი ქულების რაოდენობას აღარ გვანიჭებენ, ამ შენობას რეაბილიტაცია შეუძლებელია ჩაუტარდეს, საცხოვრებლად შეუსაბამოა, ვითხოვთ გაგვასახლონ, ჩვენ პენსიონრებმა ამ სიდუხჭირეში უკვე გავიარეთ ჩვენი, მაგრამ იქნებ ბავშვებს მაინც მისცენ საშუალება, ასეთ არაადამიანურ პირობებსა და გარემოში რომ არ გაიზარდონ.“

გია სანთელაძის ინფორმაციით, მიმდინარეობს ნიკეასა და ავტომშენებლის ტერიტორიებზე ახალი კორპუსების მშენებლობა, იმისთვის, რათა დევნილების შესახლება და მათი საცხოვრებელი ფართებით უზრუნველყოფა მოხდეს.

„ჩვენ თითოეული დევნილი ოჯახის მდგომარეობას დეტალურად ვიკვლევთ, სამინისტრო მათთვის ალტერნატიული ფართების შეთავაზებაზე აქტიურად მუშაობს, ამისთვის უკვე კონკრეტულ უბნებზე ფართებიც არის გამოყოფილი, თუმცა დევნილთა განსახლება არ მოხდება კომპლექსურად და ეს დამოკიდებული იქნება ქულების რაოდენობაზე, რომელიც თითოეულ ოჯახს აქვს მინიჭებული.“

ეკა შალამბერიძე

„P.S. ფოტო“ (ეკა შალამბერიძე) ©

„P.S. ფოტო“ (ეკა შალამბერიძე) ©

„ოცდამეერთე საუკუნეში სახლში ისე გვაწვიმს, როგორც გარეთ“

გადაუღებელი წვიმის გამო, ქუთაისში, მუსხელიშვილის №1ა-ში მდებარე ხუთსართულიანი კორპუსის ბოლო სართულები ჭერიდან ჩამოსულმა წვიმის წყალმა დატბორა.

განსაკუთრებით გაუსაძლისი მდგომარეობა ერთ-ერთ საცხოვრებელ ბინაში შეიქმნა, სადაც მარტოხელა ახალგაზრდა ქალბატონი ორ მცირეწლოვან შვილთან ერთად ცხოვრობს. ნატალია ნუცუბიძეს ოროთახიან ბინაში ჭერიდან წყალი ყველა ოთახში ჩამოვიდა, რის გამოც ელექტროგადამცემი სადენები დასველდა, რამაც ავარიული მდგომარეობა შექმნა. ახალგაზრდა ქალმა მცირეწლოვანი ბავშვები მეზობელს შეაფარა.

ნატალია ნუცუბიძე: „მოვიდნენ წინასაარჩევნოდ, დაგვპირდნენ კაპიტალურ გადახურვას, მაგრამ მერე რაღაც „ტოლს“ დაგვაჯერეს და იმით გადახურეს, რასაც ხედავთ. ამ მასალით დახურვას კი არანაირი აზრი არ აქვს – სახლში ისე წვიმს, როგორც გარეთ. ამასთან ერთად, დასველდა ელექტროგადამცემი კაბელები და ლამის ცეცხლი გაგვიჩნდა. ვართ ასე – წყალში და უშუქობაში. ჩემს თავს არ დავეძებ, მაგრამ რა ვუყო ორ მცირეწლოვან ბავშვს? ასე ზამთარში ხომ დავიხოცებით?! ოცდამეერთე საუკუნეში კორპუსში ისე როგორ უნდა გაწვიმდეს, რომ თავი გარეთ გეგონოს?!“

ქუთაისის მერიის კეთილმოწყობის სამსახურში აცხადებენ, რომ რეგიონული განვითარების ფონდიდან დაფინანსებას ელოდებიან, რომლის მიღების შემთხვევაში ზამთრის დადგომამდე რიგ უბნებში კომუნალური პრობლემები მოგვარდება.

ეკა შალამბერიძე
psnews.ge

ახალგაზრდული მოძრაობის წარმომადგენლებმა რთველში მიიღეს მონაწილეობა

ღვინის ეროვნულმა სააგენტომ ახალგაზრდული მოძრაობის პროექტის გახორციელება ქართული ღვინის პოპულარიზაციის, მევენახეობა-მეღვინეობის დარგის განვითარებაში ახალგაზრდების აქტიური ჩართულობისა და ღვინის მოხმარების კულტურის ამაღლების მიზნით დაიწყო.

აღნიშნული პროექტის ფარგლებში, 28 სექტემბერს სტუდენტებმა გურჯაანში რთველში, მიიღეს მონაწილეობა. თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და კავკასიის უნივერსიტეტის 150-მდე სტუდენტმა გურჯაანის რაიონის სოფელ შაშიანში, თამარ დიღმელიშვილის ვენახში 15 ტონამდე რქაწითელის ჯიშის ყურძენი დაკრიფეს.

ახალგაზრდული მოძრაობის ერთ-ერთი კოორდინატორი ზაზა გრიგალაშვილი, სტუდენტების რთველში წაყვანას მიესალმება და აღნიშნავს, რომ მსგავსი აქტივობები მნიშვნელოვანია მომავალი თაობისა და დარგის ჯანსაღი განვითარებისათვის.

„ღვინის ეროვნული სააგენტოს ეს ინიციატივა ახლა იდგამს ფეხს. გვინდა, ჩვენ გარშემო შემოვიკრიბოთ ქართული ღვინით დაინტერესებული ადამიანები. შეიძლება, არც იყოს მევენახე, მაგრამ უყვარდეს ქართული ღვინო. ჩვენს მოძრაობაში ჩართულმა ახალგაზრდებმა გვინდა, მოიპოვონ ინფორმაციები, შემოგვთავაზონ ახალი ხედვა და იდეები. მე, პირადად, სკოლაში ვმუშაობდი და ქართული ღვინის პოპულარიზაციისთვის უფროსკლასელები მყავდა ჩართული. ახლა გადავწყვიტეთ, სტუდენტებისკენ გადავიხაროთ. სტუდენტობა მთავარი ძალა იქნება ქართულ მეღვინეობაში. ახალგაზრდებს რთველში ყოფნა შეიძლება ისე მოეწონოთ, რომ ბევრმა ვენახის გაშენებაც დაგეგმოს. თუ ადგილობრივი სტუდენტებიც შემოგვიერთდებიან, ისინი, ვინც კახეთიდან არიან და თბილისში სწავლობენ, ძალიან კარგი იქნება," — ამბობს ზაზა გრიგალაშვილი.

სტუდენტები საკუთარ ვენახში სიხარულით მიიღო **თამარ დიღმელიშვილმა,** რომელსაც ახალგაზრდები, თავის მხრივ, ყურძნის დაკრეფაში დაეხმარნენ. რთველის მასპინძელმა ჟურნალისტებთან საკუთარ საქმიანობაზე ისაუბრა:

„ვაზის სიყვარული მამისგან გამომყვა. ვცდილობ, ყველანაირი პირობა შევუქმნა ვენახს რაც სჭირდება, მაგრამ ბუნება ყოველთვის ვერ გვახარებს — ხშირად ისეტყვება ყურძენი. თუმცა, ყველანაირად ვცდილობ, ზარალი ავიცილო თავიდან. შარშან ჰექტარზე მივიღე 12 ტონამდე. წელს 20 ტონა ჩავაბარე და ვვარაუდობ, რომ 15 ტონას კიდევ დავკრეფთ. ასევე მაქვს საგურამოს მეურნეობიდან ჩამოტანილი ნერგები, რომელიც შარშან მაჩუქეს. ეს მეურნეობა ძალიან ძლიერია, უამრავი ძველი ქართული ყურძნის ჯიში ააღორძინა იქ ბატონმა ბიძინა ივანიშვილმა. 1 500 ცალი შარშან ჩავყარე, წელს კი — 4500. ძირითადად, ყურძენს მარნებს ვაბარებ. 15 ტონის ქვევრები და შენობა მე თვითონაც მაქვს სოფელ შაშიანში და ვაპირებ, ვაწარმოო ღვინო. შემოდგომიდან სანერგეს გაკეთებასაც ვგეგმავ. რაც ჩაფიქრებული მაქვს, ჩემი ქვეყნის ხელისუფლების შემწეობით, იმედია, გავახორციელებ," — განაცხადა რთველის მასპინძელმა.

თამარ დიღმელიშვილმა სახელმწიფოს მიერ მევენახისთვის გაწეული დახმარების მნიშვნელობაზე გაამახვილა ყურადღება და აღნიშნა, რომ ამგვარმა ღონისძიებებმა კარგი შედეგი გამოიღო, ზოგადად, სოფლის მეურნეობისთვის:

„წლების წინ, კილოგრამ ყურძენზე (რქაწითელზე) ერთი ლარი საოცნებო ფასი იყო. წელს თავისუფლად გვიხდიან ამ თანხას, მაგრამ ცნობილია, რომ ადამიანი, რაც მეტ ფასში აბარებს, მით მეტი უნდა. ძალიან მადლობელი ვარ სახელმწიფოსი, რადგან ამ ხნის მანძილზე ძალიან დიდი დახმარება გაგვიწია მევენახეებს — შხამქიმიკატებით დახმარება იყო თუ ფულადი ანაზღაურება სეტყვის პერიოდში, ყველაფერი ძალიან წაგვადგა."

სტუდენტები რთველში მონაწილეობის მიღებით კმაყოფილები ჩანდნენ და აღნიშნავდნენ, რომ ასეთი საქმიანობა მათთვის ძალიან სახალისო და საინტერესო იყო:

მზია პავლიაშვილი, კავკასიის უნივერსიტეტის სტუდენტი: „ჩვენი უნივერსიტეტიდან პირველად ვართ რთველში. ძალიან გვიხარია, ვერთობით და ვეხმარებით კახელებს ყურძნის დაკრეფაში. ბავშვები აღფრთოვანებულები და მონდომებული არიან, რომ იშრომონ."

გიორგი იოსელიანი, თსუ-ს სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის მესამე კურსის სტუდენტი: „ძალიან საინტერესოა რთველი. ბევრი ასეთი ივენთი უნდა ჩატარდეს ახალგაზრდებისთვის. არა მხოლოდ სტუდენტებისთვის, არამედ სკოლის მოსწავლეებისთვისაც. გასახარია, რომ ბევრი სტუდენტი ჩაერთო ამ აქტივობაში და იმედს ვიტოვებ, კიდევ უფრო მეტი მოვა. ეს არის პოზიტიური გამოცდილება და ძალიან სასიამოვნო აურაც ტრიალებს."

ტატო ოქრუაშვილი, თსუ. იურიდიული ფაკულტეტი: „იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტებს რთველის დიდი ინტერესი გვქონდა. მოხალისედ წამოვედით და ჩავერთეთ რთველში. ვფიქრობ, ასეთი სოციალური სამსახური, ჩვენი პროფესიის გარეთ, სხვა უნარ-ჩვევებსაც გაგვივითარებს. თან დროს შრომაში სასიამოვნოდ და სახალისოდ ვატარებთ."

რთველის დასრულების შემდეგ, სტუდენტებმა კახეთის რეგიონში მდებარე ღვინის ქარხნები — **„თბილღვინო", „თელიანი ველი"** და **„კახური ტრადიციული მეღვინეობა"** (KTW) დაათვალიერეს, სადაც ადგილზე გაეცნენ ყურძნის ჩაბარებისა და წარმოების პროცესს. ახალგაზრდებმა ასევე ქართული ღვინოებიც დააგემოვნეს.

სტუდენტებისთვის შექმნილი ახალგაზრდული მოძრაობის პროექტის ფარგლებში ახალგაზრდული ჯგუფი არსებობს, სადაც გაერთიანებული არიან საქართველოს უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტები. მათთვის ღვინის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარე **ლევან დავითაშვილი** ლექცია-სემინარებს და შეხვედრებს მართავს შემდეგ თემებზე: ქართული ღვინის კულტურა და ისტორია, ვაზის ჯიშები, მევენახეობის ზოგადი საფუძვლები, ღვინის დაყენება და მოხმარების კულტურა, ენოლოგია და ქართული ღვინის კულტურის უძველესი საფუძვლები და სხვა. ამასთან, სტუდენტები აქტიურად ჩაერთვებიან ვაზის დარგვასა და მოვლაში, რთველის პროცესში, ფესტივალებში, დეგუსტაციებსა და გამოფენებში.

მსგავსი ინიციატივა, ღვინის ეროვნული სააგენტოს განცხადებით, უზრუნველყოფს მომავალი თაობების განათლებას და მათი ინიციატივების გააქტიურებას მეღვინეობა-მევენახეობის დარგის განვითარებაში. წახალისებული იქნება სტუდენტების წარმატებული იდეები და განათლების ხელშეწყობა უცხოეთის წამყვან უნივერსიტეტებში.

კვირის ჰოროსკოპი

ვერძი: არ გაამჟღავნოთ დაფარული, უმჯობესია, ჯერჯერობით, ყველაფერი ისე დარჩეს როგორც არის.

კურო: ისწავლეთ ადამიანების ნდობა და მეგობრების დაფასება. თუმცა, რა თქმა უნდა, თქვენი გარემოცვიდან ყველა არ არის ღირსი ნდობის, შეარჩიეთ მეგობრები, რომ მომავალში არ ინანოთ.

ტყუპები: დროა გაიხსენოთ, რომ გაქვთ ჰობი, რომლისთვისაც დიდი ხანია არ გამოგიყვიათ დრო.

კირჩხიბი: დრო ისეთ ადამიანებთან გაატარეთ, ვისაც უყვარხართ და თქვენი გვერდით დანახვა უნდა. იყავით მათ გვერდით, ვისაც ნამდვილად ესაჭიროება თქვენი თანადგომა და მხარდაჭერა.

ლომი: შესაძლებელია იფიქროთ, რომ ცხოვრება უღიმღამო და მოსაწყენია, მაგრამ ყველაფერი ეს დროებითია და მალე შეიცვლება საპირისპიროდ.

ქალწული: მხოლოდ ზარმაცი თუ იტყვის, რომ ცუდი დროა და არსად არ უნდა წასვლა. ისინი კი ვინც ამ კატეგორიას არ განეკუთვნებიან, ყოველგვარი სიზარმაცის გარეშე გარეთ გავლენ და აქტიურად დაისვენებენ.

სასწორი: კარგი დროა ნებისმიერი ჩანაფიქრის გასახორციელებლად. თამამად იყავით და ყველაფერი გამოგივათ.

მორიელი: ელოდეთ ისეთ სიურპრიზებს, რომლებზეც ოცნებასაც კი ვერ ბედავდით. არ მოერიდოთ ყველაზე თამამ ნაბიჯებსაც კი, ყველაფერი გამოგივათ.

მშვილდოსანი: დროა გადადგათ ნაბიჯები წინ და გადაწყვიტოთ ის პრობლემები, რომლებიც უკვე დიდი ხანია გადასაწყვეტია. ნუ ცდილობთ დროის გაყვანას, თქვენს გასაკეთებელს თქვენს მაგივრად ვერავინ გააკეთებს.

თხის რქა: ხელსაყრელი დროა საქმიანი გეგმების გასახორციელებლად. მარტოხელა თხის რქები ამ კვირაში ცხოვრების სიყვარულს შეხვდებიან. დროის უმნიშვნელოვანესი ნაწილი გართობას დაუთმეთ.

მერწყული: გირჩევთ დაისვენოთ და მაქსიმალურად მოდუნდეთ, ეს რჩევაცაა და დარიგებაც. თუნდაც ფიქრობდეთ, რომ ბევრი საქმე გაქვთ გასაკეთებელი, მაინც უმჯობესია გადადოთ საქმეები, დაისვენოთ და მერე ახალი ძალით შეუდგეთ მუშაობას.

თევზები: საქმეების და პრობლემების ისე დატოვება, როგორც არის არ ღირს. თქვენ სასწრაფოდ უნდა შეცვალოთ რამე თქვენს ცხოვრებაში, თორემ მოწყენილობა დაგეუფლებათ, ხოლო ეს კარგი არ არის. ამასთან არ დაგავიწყდეთ, რომ რაიმეს შეცვლის დროს აუცილებელია გონიერების გამოჩენა.

წინა ნომრის კროსვორდის პასუხები

ჰორიზონტალურად: 3. ყარაბას; 5. ელისო; 6. აცე; 8. ტომ; 9. ამალა; 11. იკებანა.
ვერტიკალურად: 1. პრასი; 2. აბი; 3. ყალიონი; 4. სიცილია; 7. ემზარ; 10. მეი.

შვედეთში მარტოხელა დედებს ხელოვნურ განაყოფიერებას სახელმწიფო დაუფინანსებს

შვედეთში აპირებენ კანონის შემოღებას, რომლის მიხედვითაც ქვეყნის ნებისმიერი დაუოჯახებელი ქალი, რომელსაც დაორსულების პრობლემები აქვს, სახელმწიფოს ხარჯზე გახდება დედა. ქვეყნის მთავრობამ გამოკითხვა ჩაატარა, უნდა უზრუნველყონ თუ არა მარტოხელა ქალების ხელოვნური განაყოფიერება ბიუჯეტის ხარჯებით. გამოკითხულთა უმრავლესობამ ამ შეკითხვას დადებითი პასუხი გასცა.

ჯერჯერობით, შვედეთში ექსტრაკორპოლარული განაყოფიერების პროცედურა ბიუჯეტის ხარჯზე ხელმისაწვდომია მხოლოდ გათხოვილი ქალბატონებისთვის. თუ კანონს მიიღებენ, რეპროდუქტიულ მედიცინაზე სპეციალიზებული კლინიკების მომსახურებით მარტოხელა უშვილო ქალებიც ისარგებლებენ. ცნობისათვის, შვედეთში ხელოვნური განაყოფიერების მომსახურება, დაახლოებით, 4150 ამერიკული დოლარი ღირს.

საინტერესოა, საქართველოში თუ დაფინანსდება როდისმე ხელოვნური განაყოფიერების პროცედურა, თუნდაც დაოჯახებული ქალებისთვის, რომლებიც დედობაზე ოცნებობენ? ცნობისათვის, ჩვენს ქვეყანაში ხელოვნური განაყოფიერება, დაახლოებით, 3 500 ლარი ჯდება. ამ თანხაში არ შედის ლაბორატორიული გამოკვლევები და მედიკამენტები. ხოლო სუროგატი დედობის შემთხვევაში, შვილის ყოლის მსურველები მას 15 200 აშშ დოლარს უხდიან და 9 თვის განმავლობაში მეთვალყურეობენ.

http://mshoblebi.ge/

როგორ განვათავსოთ განცხადება გაზეთ „P.S.“-ში („პოსტსკრიპტუმში“)

უფასოდ

ქვემოთ მოცემულ კუპონზე

განცხადებების მიღება ხდება კერძო პირებიდან

დაბეჭდვის თარიღი დამოკიდებულია კუპონის მიწოდების თანმიმდევრობაზე

კუპონი უნდა ჩაბარდეს

რედაქციაში - ქ. ქუთაისი, რუსთაველის ქუჩა 37°;

სავაჭრო ცენტრ „ფუდმარტში“(ყოფილი „პოპული“) - წიგნების მაღაზია „ქიმერიონი“, რუსთაველის 141.

არ მიიღება კანონთან შეუსაბამო, შეურაცხმყოფელი, უხამსი, ეროტიკული შინაარსის განცხადებები.

განცხადების ღირებულება შედის გაზეთის ფასში

მცირე განცხადების კუპონი

აღნიშნე კატეგორია

უძრავი ქონება
- [ ] გავყიდი
- [ ] ვიყიდი
- [ ] გავაქირავებ

ავტო-მოტო
- [ ] ვიყიდი
- [ ] გავყიდი

სამსახური
- [ ] ვეძებ სამუშაოს

სხვადასხვა
- [ ] ვიყიდი
- [ ] გავყიდი
- [ ] სხვა
- [ ] ცხოველები

განცხადების შინაარსი

ტელ: >>

სახელი და გვარი (მხოლოდ რედაქციის ცნობისათვის)

კონტაქტი (მობილური ან სტაციონალური)

ელექტრონული ფოსტის მისამართი

- [ ] არ ვარ განცხადების შინაარსთან დაკავშირებული კერძო მეწარმე
- [ ] ვაცხადებ თანხმობას, ფირმის მიერ გამოყენებულ იქნას განცხადებაში აღნიშნული მონაცემები

ხელმოწერა გარკვევით

რედაქციას აქვს უფლება, კუპონზე შევსებული ერთჯერადი განცხადება დაბეჭდოს კუპონის ჩაბარების დღიდან 14 დღის განმავლობაში კუპონი (ერთჯერადი) არის ძალაში მისი გამოქვეყნების დღიდან 3 კვირის განმავლობაში.

6.10.2014



შეადგინა ალეკო ნემსაძემ

ვინ არის ფოტოზე?

პასუხი წინა ნომრის ფოტო-ვიქტორინაზე

რეჟისორი **რობერტ სტურუა** ჩვენმა ერთგულმა მკითხველმა, **სულიკო ფუტკარაძემ** ამოიცნო.

რას დაარქმევდით?

პასუხი წინა ნომრის ფოტო-ვიქტორინაზე

ბიძინა ივანიშვილი

დაგვიკავშირდით:
- **(0 431) 24-45-46, 24-82-25.**
- **psnews27@gmail.com**

თქვენი დაპირებანი გათახსირებული „ნაცების“ ასალაგმავად ღირდა მხოლოდ, აწი, შენ იცი!

შაქრო გაბელაშვილი

კროსვორდი

ჰორიზონტალურად: 3. ფრანგი ფიზიკოს-მათემატიკოსი ბლეზ... 5. ნორვეგიის ფული ევრომდე; 6. მსახიობი; 8. ... კარენინა; 9. მენახშირე „მაგდანას ლურჯაში; 11. კავკასიონის უმაღლესი მწვერვალი.

ვერტიკალურად: 1. სათამაშოდ ჩადებული ფული; 2. ქვეყანა ... მარინო; 3. ესპანეთის და პორტუგალიის ნახევარკუნძული; 4. უნგრული ავტობუსი; 7. იოსელიანი, კიტოვანი და ... ; 10. სატელეფონო ტერმინი.



მილოცვა



ჩვენს მშვენიერ თანამშრომელს, **ჟანა ჯანელიძეს** და მის რჩეულს, საქართველოს ღირსეულ ჯარისკაცს — **ირაკლი მეშველიანს** ვულოცავთ ოჯახის შექმნას! ვუსურვებთ ბედნიერებას, შვილთა სიმრავლეს, ერთიან და ძლიერ საქართველოში ცხოვრებას!

გაზეთ „P.S.“-ის რედაქცია

მადლიერება

მადლობა გულისხმიერ ექიმებს!

უკვე მერამდენედ დავრწმუნდი, რომ კლინიკა „კარაპს მედლაინი“ (დირექტორი ფერიდე ხიდაშელი) ერთ-ერთი ყველაზე საუკეთესოა საქართველოში. ჩვენი ოჯახის წევრებსა თუ ახლობლებს რამდენჯერმე გვქონდა ურთიერთობა ამ კლინიკის მედპერსონალთან და ისინი ნამდვილად გამოირჩევიან როგორც მაღალი პროფესიონალიზმით, ასევე – პაციენტისადმი ყურადღებიანი დამოკიდებულებით.

ამჯერად განსაკუთრებით მინდა აღვნიშნო „კარაპს მედლაინის“ ზოგადი და მინი ინვაზიური ქირურგიის დეპარტამენტის გულისხმიერი დამოკიდებულება პირადად ჩემს მიმართ, სადაც ნაღველზე სასწრაფო ოპერაციის გაკეთება დამჭირდა. დეპარტამენტის ხელმძღვანელია ცნობილი პროფესორი, ბატონი მერაბ კილაძე.

ასეთი მოულოდნელი სტრესიდან სწორედ ამ პროფესიონალმა მედიკოსებმა გამომიყვანეს, დაწყებული მაღალ დონეზე ჩატარებული ოპერაციით და დამთავრებული ყურადღებიანი და გულისხმიერი დამოკიდებულებით.

სწორედ ამიტომ უღრმესი მადლობა მინდა, ვუთხრა პროფესორ მერაბ კილაძეს, ჩემს მკურნალ ექიმს, არაჩვეულებრივ ქირურგსა და კარგ ადამიანს, ბატონ თენგიზ კეპულაძეს, დეპარტამენტის ქირურგებს, ბატონებს: ოთარ კეპულაძეს, დავით ელგანდაშვილს, თამაზ ჯიქიას; ანესთეზელოგს, ქალბატონ მარინა კიკოზაშვილს და მთელ მედპერსონალს, ვისაც თავისი პროფესიონალიზმი არ დაუშურებია იმისათვის, რომ ჩემს სიცოცხლეს საფრთხე არ შექმნოდა.

პატივისცემითა და საუკეთესო სურვილებით,
ნატო გუბელაძე

რა განძს მიაკვლიეს სიღნაღში?

სიღნაღის რაიონის სოფელ ზემო ბოდბის მოსახლეობა აღმოჩენის შესწავლას ელოდება

საკანალიზაციო სისტემის დამონტაჟების დროს, ბესო ჩუთლაშვილმა საკუთარ ეზოში გვირაბებს მიაკვლია. 12-დან თითოეული მათგანი შედარებით მცირე ზომის გვირაბს უკავშირდება. აღმოჩენით ადგილობრივები დაინტერესდნენ და გათხრები 10 მეტრამდე სიგრძეზე უკვე აწარმოეს. სამუშაოების შესრულებისას ადამიანის ძვლებსა და თიხის ჭურჭლის ფრაგმენტებსაც მიაგნეს. ზემო ბოდბეში ვარაუდობენ, რომ ნაპოვნი მასალა გვიან ბრინჯაოს ხანას განეკუთვნება. რაც შეეხება გვირაბებს, მოსახლეობა არ გამორიცხავს, რომ იქ სასულიერო პირების მიერ გადანახული განძი იმალებოდეს.

ადგილზე უკვე იმყოფებოდა სპეციალისტების ჯგუფი, თუმცა, პირველადი დასკვნა ამ დროისთვის უცნობია.

http://tvfree.ge

როგორ ამოვიცნოთ ნამდვილი თაფლი

თაფლი ერთ-ერთი ყველაზე ძვირფასი საკვები პროდუქტია. მისი მაღალი კვებითი ღირებულება და სამკურნალო თვისებები განისაზღვრება არა მარტო ადვილად ასათვისებელი შაქრების დიდი რაოდენობით, არამედ ფიზიოლოგიურად სრულფასოვანი მინერალური ნივთიერებების, ფერმენტების, ვიტამინებისა და ანტიმიკრობული ნივთიერებების შემცველობითაც. ნატურალური თაფლი აძლიერებს ნივთიერებათა ცვლას, ახდენს ბაქტერიოციდულ, ანთების საწინააღმდეგო და მატონიზებელ მოქმედებას, აჩქარებს ქსოვილების აღდგენას, აწესრიგებს საჭმლის მომნელებელი სისტემის მუშაობას, ასტიმულირებს შინაგანი ორგანოებისა და იმუნური სისტემის მუშაობას.

სამწუხაროდ, ბაზარზე საკმაოდ ხშირად იყიდება ფალსიფიცირებული თაფლი, ამიტომ სასარგებლოა ვიცოდეთ ნამდვილისა და ფალსიფიცირებულის გარჩევა. გთავაზობთ რამდენიმე ხერხს:

გამჭვირვალობა: თაფლს სხვადასხვა ფერი შეიძლება ჰქონდეს (ყვავილოვანი თაფლი ღია ყვითელია, ცაცხვისა — ქარვისფერი, იონჯისა — თითქმის უფერო, წაბლისა — ყავისფერი), მაგრამ ნამდვილი თაფლი აუცილებლად გამჭვირვალეა, თუკი არ დაუწყია ჩაშაქრება (თაფლი ჩაშაქრებას აცვებისთანავე იწყებს, ამიტომ ზამთრის თვეებში ნატურალური თაფლიც გაუმჭვირვალე, დაბურული ხდება); თაფლი, რომელსაც მინარევები აქვს (შაქარი, სახამებელი ან სხვა), მღვრიეა და თუ კარგად დავაკვირდებით, შესაძლოა ნალექიც შევამჩნიოთ.

არომატი: ნამდვილი თაფლი გამოირჩევა მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი არომატით, რომელიც არც მეტისმეტად მძაფრი უნდა იყოს და არც მეტისმეტად სუსტი. შაქრის შემცველ თაფლს არომატი თითქმის არ აქვს, მისი გემო შაქრიანი წყლისას ჰგავს.

გემო: ნატურალური თაფლი არა მარტო ტკბილია, არამედ მისი სიტკბო ოდნავ წვავს ყელს.

სისქე: თაფლი პირში ჩადებისას სწრაფად არ დნება და ერთხანს ინარჩუნებს ფორმას; დაიწვეთეთ თაფლი ხელის ზურგზე — თუ წვეთმა შეინარჩუნა ფორმა და არ დაიშალა, თაფლი ნატურალურია.

კონსისტენცია: მოსრისეთ თაფლი თითებს შორის. ნატურალური თაფლის კონსისტენცია ნაზია, კანი მას შეიწოვს. ფალსიფიცირებული თაფლი უხეში კონსისტენციისაა და კოშტებად რჩება თითებს შორის. ნატურალური თაფლი ჩაშაქრებულიც კი ერთგვაროვანია, განშრევებების გარეშე, შაქრის ცალკეული კრისტალები მასში არ იგრძნობა.

წყლის შემცველობა: მომწიფებული ნატურალური თაფლი თითქმის არ შეიცავს წყალს, ამიტომ თუ მას ქაღალდზე დააწვეთებთ, იგი არ წარმოქმის სველ ლაქას, ფალსიფიცირებული თაფლი კი ქაღალდს ასველებს. შეგიძლიათ, ასეც გამოსცადოთ: ჩაუშვით თაფლში პურის პატარა ნაჭერი და 10-12 წუთი გააჩერეთ. მერე ამოიღეთ. თუ თაფლი ნატურალურია, პური გამაგრდება, თუ ფალსიფიცირებულია — დარბილდება.

რამდენიმე რჩევა ნატურალური თაფლის გამოსაცნობად:

ამოიღეთ თაფლი კოვზით. თუ იგი ნატურალურია, წარმოქმნის გრძელ (10-12 სმ სიგრძის) „ძაფს“, რომელიც დიდხანს არ გაწყდება და თუ კოვზს დაატრიალებთ, ზედ დაეხვევა. როდესაც თაფლის ძაფი გაწყდება, ზედაპირზე წარმოიქმნება პატარა ბორცვი, რომელიც ნელ-ნელა გასწორდება.

გახსენით ერთი სუფრის კოვზი თაფლი ერთ ჩაის ჭიქა ცხელ წყალში. ნატურალური თაფლი მთლიანად გაიხსნება და არ წარმოქმნის ნალექს. ხსნარი არ აიმღვრევა, თუ მას ცოტაოდენ სპირტს დავუმატებთ.

ქაღალდის ფურცელს თხელ ფენად წაუსვით თაფლი ისე, რომ კიდეები თავისუფალი დარჩეს. ფურცელს წაუკიდეთ ცეცხლი. თუ ცეცხლი ჩაქრა, თაფლი ნატურალურია, თუ მთელი ფურცელი დაიწვა — ფალსიფიცირებული.

თაფლის წვეთს მოაყარეთ ცოტაოდენი სახამებელი — თუ იგი თეთრ ნაფიფქად დარჩა, თაფლი ნატურალურია.

ჩაის სუსტ და თბილ ნაყენს დაუმატეთ ცოტაოდენი თაფლი. თუ იგი ნატურალურია, ჩაი გამუქდება, მაგრამ ნალექი არ წარმოიქმნება.

გაახურეთ ნემსი და ჩაუშვით თაფლში. თუ მასზე წარმოიქმნა წებვადი მასა, თაფლი ფალსიფიცირებულია. ნატურალურ თაფლში ნემსი სუფთა დარჩება.

თუ ზამთარში ან გაზაფხულზე თხევად, გამჭვირვალე თაფლს გთავაზობენ, დაფიქრდით, სანამ იყიდით. თხევადი თაფლი ზამთარში იშვიათობაა. ძალიან ცოტა სახეობის თაფლი (აკაციისა, წაბლისა), რომლებშიც მაღალია ფრუქტოზის შემცველობა, რჩება თხევადი გაზაფხულამდე. უმეტესად თაფლი ზამთარში ჩაშაქრებას იწყებს და გამჭვირვალობას კარგავს. თუ ზამთარში თაფლს შებურული ფერიც კი არ დაჰკრავს, ის ან ხელოვნურია, ან შაქრის ვაჟინით ფუტკრების გამოკვების შედეგად მიღებული. შესაძლოა, თაფლი ნატურალურია, მაგრამ ჩაშაქრდა და გასაადნობად გააცხელეს. სამკურნალო თვისებები ასეთ თაფლს აღარ ექნება.

თაფლის შენახვა და მოხმარება

თაფლი უნდა შეინახოთ ბნელ და გრილ ადგილას მინის ან მომინანქრებულ თავდახურულ ჭურჭელში, ვინაიდან იგი ადვილად იღებს უცხო სუნს. ასეთ პირობებში იგი შეიძლება წლობით შევინახოთ.

მზის პირდაპირი სხივები უარყოფითად მოქმედებს თაფლზე. 48 საათით მზეზე გაჩერების შემდეგ მასში იშლება ფერმენტების მნიშვნელოვანი ნაწილი.

არ შეიძლება თაფლის შენახვა ლითონის ჭურჭელში — იგი მასთან რეაქციაში შევა და მომწამლავ მარილებს წარმოქმნის.

პლასტმასის ჭურჭელში თაფლი შეიძლება შევინახოთ არა უმეტეს ერთი კვირის განმავლობაში.

თაფლის სასარგებლო თვისებები თერმული დამუშავების შემდეგ ისპობა, ამიტომ:

ნუ გააცხელებთ ან მოხარშავთ თაფლს;

ნუ ჩადებთ თაფლს მდუღარე წყალში ან ჩაიში. გააგრილეთ ჩაი და მხოლოდ შემდეგ უყავით თაფლი.

თუ ჩაშაქრული თაფლი არ გიყვართ, სასარგებლო თვისებები რომ არ დაკარგოს, ძალიან ფრთხილად უნდა გაადნოთ: ჩადეთ ქილა თბილ წყალში და დაელოდეთ. სამწუხაროდ, გოზინაყის მომზადებისას თაფლი სასარგებლო თვისებებს კარგავს.

mkumali.ge

წიგნების მაღაზია ქიმერიონი

qimerioni.ge

ყოველგვარი ფასნამატის გარეშე შეიძინეთ:

- ქართული თუ უცხოური ლიტერატურა;
- კლასიკოსი და თანამედროვე მწერლების ნაწარმოებები;
- მაღალპოლიგრაფიულ დონეზე გამოცემული საბავშვო შემეცნებითი და გასართობი წიგნები;
- სამეცნიერო ხასიათის გამოცემები;
- ენციკლოპედიები;
- ლექსიკონები;
- ჟურნალ-გაზეთები

წიგნები შენ გელოდება!

ქუთაისი, სავაჭრო ცენტრი „ფუდმარტი“ (ყოფილი „პოპული“), წიგნების მაღაზია „ქიმერიონი“.

ტელეფონი: 790 927 927; (0 431) 274 474

პრესკონფერენციები, ბრიფინგები, პრეზენტაციები

PSpress-კლუბი

ქუთაისი, რუსთაველის 37ა (პრესის სახლი). 599 10 77 94